შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №27/25.05.2020
ბოლო ცვლილება შესულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №75/11.07.2023

კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

თბილისი

2023

სარჩევი

შესავალი 4
ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი პრინციპები 4
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება 6
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის მეთოდოლოგია 7
კვლევის მიზანი 7
კვლევის მეთოდი 7
სამიზნე ჯგუფი 7
შერჩევა 7
მონაცემთა შეგროვების მეთოდები 8
ეთიკური მოსაზრებები 10
ვალიდობა და სანდოობა 10
მონაცემთა ანალიზი და რეაგირება 11
შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება/ვერიფიკაცია 12
ვერიფიკაციის მეთოდოლოგია 13
კვლევის მიზანი 13
კვლევის დიზაინი და მეთოდი 13
შერჩევა/რისკების ანალიზი 14
ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა 16
კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია 17
კვლევის მიზანი 18
კვლევის მეთოდი 18
სამიზნე ჯგუფი 18
შერჩევა 19
მონაცემთა შეგროვების მეთოდი 19
ეთიკური მოსაზრებები 19
ვალიდობა და სანდოობა 19
მონაცემთა ანალიზი და რეაგირება 20
დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია 21
კვლევის მიზანი 21

კვლევის მეთოდი 21
სამიზნე ჯგუფი 21
შერჩევა 21
მონაცემთა შეგროვების მეთოდები 22
ეთიკური მოსაზრებები 22
ვალიდობა და სანდოობა 23
მონაცემთა ანალიზი და რეაგირება 23

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს. ამ მიზნით, კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის დანიშნულებაა კოორდინირებული ქმედებების ერთობლიობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება. ხარისხის მართვის პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

შეფასების სისტემის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ასევე, კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უზრუნველყოფის, გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შეფასება წარმოადგენს. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი ამოცანებია:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;

გ) გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების რელევანტურობის შეფასება შესაფასებელ სწავლის შედეგებთან;

დ) მტკიცებულებათა ავთენტურობის და მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება;

ე) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;

ვ) პროგრამის კურსდამთავრებულთა საქმიანობისა და მათი დამოკიდებულების შესწავლა;

ზ) პარტნიორ ორგანიზაციათა და პოტენციურ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა;

თ) პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება.

შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლას და ამ პროცესში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს (PDCA), რაც გულისხმობს შემდეგს:

- PLAN (დაგეგმე);
- DO (განახორციელე);
- CHECK (შეამოწმე);
- ACT (იმოქმედე/განავითარე).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა, რადგან ჩართულობით იზრდება პერსონალის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებების შეჯერებით კი პერსონალი უფრო მეტად უახლოვდება პრაქტიკას და პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება ისეთი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რომლებიც აქტუალურია შრომის ბაზარზე. მას შემდეგ რაც, ცნობილია დამსაქმებელთა მოთხოვნები და მათი საჭიროებები, უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ზრდაც. საერთო ჯამში, ეს ყველაფერი განაპირობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ეს არის მოდულების, სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიური და ტრანსფერული უნარების გადაცემის სტრუქტურირებულ და დაგეგმილ წყაროს. შესაბისად, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელების შედეგების სისტემატიური შეფასება, რისთვისაც გამოიყენება როგორც პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების გამოკითხვა, ასევე, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. ასევე, ხორციელდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება და შეფასების მტკიცებულებათა შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, აგრეთვე გამოკითხვის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებს ანგარიშებს, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პერსონალის საქმიანობის შეფასება და ამ კუთხით გაცემული რეკომენდაციები.

პროგრამების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება. კვლევები დროში განმეორებადია და მთელი დროის განმავლობაში გამოყენებულია ერთი და იგივე შერჩევის სტრატეგია. აღნიშნული საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დროში არსებული მსგავსებები, განსხვავებები და ცვლილებები. შესაბამისად, დროში განმეორებადი კვლევა იძლევა სხვადასხვა სასწავლო წლების შედეგების შედარებას, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენასა და დასკვნების გაკეთების უნარს, რათა ნათლად გამოჩნდეს სწავლებისა თუ შეფასების პროცესში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი, ან მისი არარსებობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის მიზანია შპს ბარაკონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კოლეჯის პოპულარობის ზრდას.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შერეული (რაოდენობრივი და თვისებრივი) კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები;

შერჩევა

კვლევის ხარისხი არა მარტო დამოკიდებულია მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტების შესატყვისობაზე, არამედ კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. შერჩევის ზომა დამოკიდებულია განსხვავებული ქვეჯგუფების, სტრატების რაოდენობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ქვეჯგუფის შერჩევის ზომა უნდა იყოს რეპრეზენტაციული, სტრატიფიცირება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრის მიხედვით. შესაბამისად, რაც უფრო მეტია სტრატების რაოდენობა, მით უფრო დიდი არის შერჩევა. ამასთან გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, შესაძლებელია ზოგიერთმა მონაწილემ დატოვოს კვლევა, არ დააბრუნოს, ან დააბრუნოს არასრულად შევსებული ანდა გაფუჭებული კითხვარი. აქედან გამომდინარე, შერჩევის ზომა საჭიროზე მეტი უნდა იყოს.

პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ იძლევა რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმახორციელებელი პირებისა და პროგრამის კოორდინატორების შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - მიზნობრივი შერჩევა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, შერჩევა კონკრეტული მიზნისთვის არის არჩეული. შესაბამისად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ყველა განმახორციელებელი პირის ჩართულობა, რადგან იგი მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრი იციან საკვლევი საკითხის შესახებ.

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი მეთოდი მოგვცემს ინფორმაციას კონტექსტზე, კონკრეტულ ადამიანებსა და გარემოზე, თუმცა მიგნებებს ვერ განვაზოგადებთ, რადგან ისინი მხოლოდ იმ კონკრეტულ ადამიანებზე ვრცელდება. რაოდენობრივი მეთოდი კი გვაძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე.

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდებია გამოყენებული:

- გამოკითხვა;
- ფოკუს ჯგუფი;
- დაკვირვება.

მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის აღწერა

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის

მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით. პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების შემთხვევაში გამოიყენება გამოკითხვა.

პროფესიულ სტუდენტებთან ორი ტიპის კითხვარი გამოიყენება. ერთი კითხვარით ფასდება მოდულის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია, სასწავლო გარემოს ადეკვატურობა და საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა. მეორე კითხვარით ფასდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ხარისხი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ; ასევე ფასდება კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

მოდულის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები) აფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის დაგეგმვასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ადეკვატურობასა და ხელმისაწვდომობას.

შესაძლებელია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შემთხვევაში გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში იქნება შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემს. თუმცა შესაძლებელია რესპოდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა.

ფოკუს ჯგუფი - ჯგუფი შედგება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებისგან. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, მონაწილეთა გამოცდილების საფუძველზე მოძიებულ იქნას ახალი იდეები და მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყოს კითხვარებისა და შემდგომი ინტერვენციების შესამუშავებლად.

დაკვირვება - საკონტაქტო საათზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენს იმის ნახვა, თუ რეალურად როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, მოხდეს პროგრამების დანერგვის/

განხორციელების მიმდინარეობისას ხარვეზებისა და უპირატესობების გამოვლენა, რაც შესაძლებელს გახდის გაკეთდეს გაუმჯობესებისთვის საჭირო დასკვნები და შემდგომ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. დაკვირვება ხორციელდება სტრუქტურირებული კითხვარით წინასწარ განსაზღვრული მონაცემების შეგროვების მიზნით. დასაკვირვებელი პირები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესში და შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ პროფესიულ სტუდენტთა მიერ საკონტაქტო საათებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებაში. შესაბამისად, ფასდება გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა თემატიკასთან, კალენდარული გეგმით საათების განაწილების ადეკვატურობა სწავლის შედეგებთან და მასწავლებლის კომპეტენცია განათლებისა და დარგობრივი კუთხით.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდები მიზნად ისახავს მოპოვებულ იქნას ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფიდან და მოძიებულ იქნას ის გზები თუ საშუალებები, რომლებიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პრობლემის იდენტიფიცირებას და დაგეგმილი ინტერვენციების მეშვეობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- რესპოდენტებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდი იყოს მდგრადი და სტაბილური. ამისთვის, შექმნილია ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზუსტ, რეპრეზენტაციულ და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ არის გამოყენებული

ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები. ასევე, ვალიდურობის მიზნით ყოველწლიურად შესაძლებელია კითხვარის შინაარსისა და კითხვების ფორმულირების დახვეწა.

მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფების გამოკითხვისა და დაკვირვების მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, რომლებსაც პროგრამების განვითარების მიზნით მიეწოდებათ ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცია.

კითხვარის ფორმები მოცემულია დანართებად.

პროფესიული სტუდენტის კითხვარი - დანართი 1

პროფესიული სტუდენტის კითხვარი - დანართი 2

პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის კითხვარი - დანართი 3

საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი - დანართი 4

შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება/ვერიფიკაცია

შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ განათლებას და შეფასების მთავარი სამიზნე პრაქტიკული უნარების დემონსტრირებაა, ეს არ აკნინებს თეორიული ცოდნის მნიშვნელობას, რადგან თეორია - პრაქტიკული უნარების გამომუშავების წინაპირობა და საფუძველია. შესაბამისად, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება გულისხმობს იმ ადამიანების წარმოჩენას, რომლებიც ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ შეუძლიათ, გამოიყენონ საკუთარი ცოდნა და უნარები. ეს გახლავთ შესრულებაზე აქცენტის გაკეთება და მიმართულია იმისკენ, რომ გააძლიეროს შეფასების შესაბამისობა დასაქმების მოთხოვნებთან. კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლებისას, შეფასება მიმდინარეობს შესრულების მტკიცებულებების შეგროვებით სიტუაციის უფრო ფართო სპექტრის გამოყენებით. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. საიმედოობის მოსაპოვებლად კი, ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდურობას;
- სანდოობას;
- გამჭვირვალობას;
- სამართლიანობას;
- ობიექტურობას.

შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება თუ არა მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურია თუ არა. ამ მიზნით ყოველწლიურად დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან დარგის მასწავლებლები. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის შესაბამისად, ვერიფიკაციის პროცესი იწყება ვერიფიკაციის გეგმის შემუშავებით და სრულდება ვერიფიკაციის ანგარიშის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით.

ვერიფიკაციის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

ვერიფიკაციის მიზანს გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს, ანუ ფასდება შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თუ არა ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

კვლევის დიზაინი და მეთოდი

კვლევის ფარგლებში ერთგვარად გამოყენებულია დოკუმენტური კვლევა, რადგან ეყრდნობა უკვე შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს. არსებული დოკუმენტები გამოსადეგია შესასწავლი ფენომენის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის, თუმცა ისინი იმავე დროში გამოვლენილ მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა იქნეს შესწავლილი. შესაბამისად, მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოიყენება მეორადი მონაცემები და ხორციელდება მიღებული მონაცემების რაოდენობრივი დამუშავება. აღნიშნული კვლევა დროში განმეორებადი ანალიზისთვისაც გამოსადეგია, რადგან მას შეუძლია აჩვენოს, როგორ ვითარდება სიტუაციები დროთა განმავლობაში.

შერჩევა/რისკების ანალიზი

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში (შპს ბარაკონი) მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში (შპს ბარაკონი) მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კერძოდ:

- დაბალი რისკ-ფაქტორი - 1 ქულა;
- საშუალო რისკ-ფაქტორი - 2 ქულა;
- მაღალი რისკ-ფაქტორი - 3 ქულა;
- კრიტიკული რისკ-ფაქტორი - 4 ქულა.

იმ შემთხვევაში, თუ რისკ-ფაქტორია დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი, ფასდება მის მიერ განხორციელებული ყველა მოდულის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებები შერჩევის მოცულობის მიხედვით. მტკიცებულებები შეირჩევა მარტივი შემთხვევითი პრინციპით საკმარის რაოდენობამდე.

#	რისკ-ფაქტორები	მინიჭებული ქულა	შერჩევის მოცულობა
1	კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	1 ქულა	მტკიცებულებათა 20%
2	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი	1 ქულა	მტკიცებულებათა 20%
3	კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	2 ქულა	მტკიცებულებათა 25%
4	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი	2 ქულა	მტკიცებულებათა 25%
5	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი	3 ქულა	მტკიცებულებათა 30%
6	მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი)	3 ქულა	მტკიცებულებათა 30%
7	კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი	3 ქულა	მტკიცებულებათა 30%
8	დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი	4 ქულა	მტკიცებულებათა 50%

არ მოწმდება ყველა სტუდენტის ნამუშევარი, მაგრამ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ თუ დაფიქსირდა სტანდარტთან მიმართებით გარკვეული შეუსაბამობა ან/და ხარვეზი, შესაძლებელია შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა. კრიტიკული რისკ-ფაქტორისთვის შერჩეულ მტკიცებულებებში გამოვლენილი შეუსაბამობის ან/და ხარვეზის შემთხვევაში, შერჩევის მოცულობა იზრდება 70%-მდე, ხოლო დაბალი რისკ-ფაქტორიდან შემდგომი რისკ-ფაქტორის შერჩევის მოცულობამდე.

ვერიფიკაციის განხორციელება მნიშვნელოვანია ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე რისკ-ფაქტორების ჭრილში, შემდგომ კი მან უნდა მოიცვას დაბალი და საშუალო რისკ-ფაქტორები და ერთიან ჭრილში შეაფასოს კოლეჯის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით.

ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.

ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ვერიფიკაციის დასკვნიდან გამომდინარე, დირექტორის მოადგილეს ევალება:

- პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის/პრაქტიკის ინსტრუქტორებისთვის დახმარების გაწევა და სათანადო კონსულტირებით სწორი მიმართულების მიცემა შეფასების ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობისა და საიმედოობის კუთხით;
- მასწავლებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების დაგეგმვა;
- თვალყურის დევნება, რომ შემფასებლები იყენებდნენ შეფასების სტანდარტებს ერთნაირად და თანმიმდევრულად.

ფორმები მოცემულია დანართებად.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი - დანართი 5

ვერიფიკაციის დასკვნა - დანართი 6

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება ე.წ ქსელური ინსტიტუციური მოდელით, რომელიც წარმოადგენს ცენტრალიზებული და ინსტიტუციური (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე) ადმინისტრირებული მოდელების ჰიბრიდულ ვერსიას. კურსდამთავრებულთა კვლევის ქსელური ინსტიტუციური მოდელი აერთიანებს საქართველოში მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც თანამშრომლობენ კურსდამთავრებულთა კვლევების განხორციელების პროცესში. თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები გულისხმობს:

- ერთიანი კითხვარის შექმნას, პროფესიული უნარების სააგენტოსა და პსდ-ების თანამშრომლობით;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ჩასატარებლად პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილ ელექტონული პლატფორმაზე მონაცემების შეგროვების პროცესის მართვას;
- მონაცემების შეგროვებას, რომელიც ყველა პსდ-ში მიმდინარეობს სტანდარტული პროტოკოლით საერთო ვადების და ეტაპების გათვალისწინებით. პროცესი უნიფიცირებულია და თითოეული პროვაიდერის მონაცემი კონფიდენციალური;
- პსდ-ს მიერ ინდივიდუალური ელ. ანგარიშის მომზადებას, რომელშიც შესაძლებელია საკუთარი მონაცემების ერთიან მონაცემებთან (ქვეყნის მასშტაბით) შედარება;
- პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შემაჯამებელი კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვას;

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთი სტანდარტული ციკლის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს და სამ ძირითად ფაზად იყოფა:

- საორგანიზაციო საკითხების მოგვარება - კვლევის დიზაინსა და ინსტრუმენტებში ცვლილებების შეტანა/შეთანხმება;
- ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი - საველე სამუშაოების ჩატარება;
- შედეგები - მონაცემების შეყვანა და ანალიზი.

კვლევის ყველა ეტაპზე პროფესიული უნარების სააგენტო აწარმოებს ტექნიკურ მხარდაჭერასა და მონიტორინგს.

კვლევის მიზანი

ცენტრალიზებულ კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებს მრავალდონიანი სტრუქტურა აქვს. კვლევის შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც მიკრო (ცალკეული პროგრამის და ინსტიტუციის), ისე მეზო (სექტორის) ან მაკრო (სახელმწიფოს) დონეზე. შესაბამისად, ეს მიზნები, სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დაუკავშირდეს უშუალოდ სასწავლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული განათლების სისტემის, დარგის ან მთლიანად სამუშაო ბაზრის განვითარების საჭიროებებს.

ინსტიტუციის დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია:

- სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გავიგოთ თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).
- ინფორმაციის მიღება სასწავლო რესურსების, პირობების და სასწავლო პროცესის მახასიათებლების შესაძლო გავლენის შესახებ სწავლის შედეგებზე, ცალკეული პროგრამის მიხედვით.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოიყენება სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარი (ონლაინ გამოკითხვა). სტრუქტურირებული კითხვარის პარალელურად, ასევე, შესაძლებელია, საჭიროებისამებრ, თვისებრივი მეთოდების (მაგალითად, ფოკუს ჯგუფების) გამოყენება გარკვეულ საკვლევ კითხვებზე უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში. პროგრამის დასრულებიდან კვლევაში მონაწილეობამდე დროის ინტერვალი არ უნდა იყოს 1 წელიწადზე მცირე და 2 წელზე მეტი. კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება ყოველწლიურად.

შერჩევა

ვინაიდან კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის მიხედვით, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობს ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას). ჩვეულებრივ, კვლევაში მოწვეული კურსდამთავრებულთა ნაწილი უარს ამბობს მონაწილეობაზე, გარდა ამისა, პასუხების წილი უფრო დაბალია ელექტონული დისტანციური გამოკითხვის შემთხვევაში. ამ რისკის შესამცირებლად ინსტიტუციებს აქვთ შესაძლებლობა რამდენჯერმე მოიწვიონ კურსდამთავრებულები - სულ მცირე ორი შეხსენების გაგზავნა ერთი-ორკვირიანი შუალედებით.

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდს წარმოადგენს ონლაინ გამოკითხვა - სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარი. ასევე, შესაძლებელია, თვისებრივი მეთოდების (მაგალითად, ფოკუს ჯგუფების) გამოყენება კონკრეტულ საკითხზე სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად. მონაცემთა შეგროვება ხორციელდება კვლევის მეორე ფაზაზე და გულისხმობს მონაწილეთა მოწვევას, საველე სამუშაოს ჩატარებასა და მონიტორინგს, ნაკლული მონაცემების კონტროლს.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- კურსდამთავრებულებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

ონლაინ გამოკითხვა მოითხოვს ნაკლებ რესურსს, მაგრამ ერთი მხრივ რთულია რესპონდენტთა მიერ კითხვარის შევსების პროცესის კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ

მონაწილეებს არ აქვთ შესაძლებლობა მათთვის გაუგებარი საკითხების დაზუსტების. ონლაინ ფორმატის კიდევ ერთ შეზღვუდას წამოადგენს ე.წ. „თვითშერჩევის პრინციპი“. აღნიშნული რისკების შესამცირებლად გატარებული ქმედების მიუხედავად, მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებული იყოს ონლაინ გამოკითხვის შესაძლო შეზღვუდვები. აღნიშნული რისკების შესამცირებლად:

- ხორციელდება პორტალზე ატვირთული ინფორმაციის მონიტორინგი და ნაკლული მონაცემების წილის შემცირების ღონისძიებები;
- კითხვარის შევსება შესაძლებელია, როგორც კომპიუტერის, ასევე მობილურის საშუალებით;
- კითხვები დაჯგუფებულია მარტივად აღსაქმელ შინაარსობრივ ერთეულებად;
- კითხვარში მოცემულია ამომწურავი ინსტრუქციები;
- საჭიროების შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომია სატელეფონო/ონლაინ დახმარება.

მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

კვლევის მესამე ფაზა ყველაზე გრძელვადიანია. იგი აერთიანებს მონაცემების შეყვანას და წმენდას, მონაცემთა ანალიზს, ანგარიშების მომზადებას, შედეგების გაზიარებას.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, რომლებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების განვითარების მიზნით.

კითხვარის ფორმა მოცემულია დანართად.

კურსდამთავრებულთა კითხვარი - დანართი 7

დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

დამსაქმებელთა კვლევის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით:

- პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების/ კურსდამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა;
- დაწესებულებასთან თანამშრომლობისა და პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

სამიზნე ჯგუფი

სასურველ სამიზნე პოპულაციას წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და/ან კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები საქართველოში.

შერჩევა

კვლევის ხარისხი არა მარტო დამოკიდებულია მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტების შესატყვისობაზე, არამედ კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. სტრატიფიცირება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრის მიხედვით. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების/დამსაქმებლების შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ იძლევა რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. ამასთან, ორგანიზაციებში ძირითადად რესპოდენტს წარმოადგენს კადრების შერჩევასა და რეკრუტირებაზე პასუხისმგებელი პირი (ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ა.შ.).

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც იძლევა რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე. კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულია გამოკითხვა.

მონაცემთა შეგროვების მეთოდის აღწერა

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.

შესაძლებელია დამსაქმებლების შემთხვევაში გამოყენებული იყოს როგორც პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა, ასევე ელექტრონული გამოკითხვა. ელექტრონული გამოკითხვის შემთხვევაში კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში იქნება შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემს. თუმცა შესაძლებელია რესპოდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- რესპოდენტებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების გამოყენებული მეთოდი იყოს მდგრადი და სტაბილური. ამისთვის, შექმნილია ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ, რეპრეზენტაციულ და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ არის გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები. ასევე, ყოველწლიურად შესაძლებელია კითხვარის შინაარსისა და კითხვების ფორმულირების დახვეწა ვალიდურობის მიზნით.

მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფიდან მიღებულ მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, რომლებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების განვითარების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით განხორციელებული თითოეული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა მექანიზმებში, რადგან მან უფრო ნათელი სურათი მოგვცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების კუთხით.

კითხვარის ფორმა მოცემულია დანართად.

დამსაქმებელთა კითხვარი - დანართი 8